F68N2205
საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ავანგარდი

საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორდღიური ორგანო
გამოცემის 31 წელი

АВАНГАРДИ Орган Цхакаевского райкома КП Грузии и Райсовета депутатов трудящихся

№ 27 (2.421) პარასკევი, 2 მარტი, 1956 წ. ფ. 15 კ.

ყრილობის მუშაობას, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ეს გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას.

„პ რ ა ვ დ ა"

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა პლენუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის წევრები: ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. კირიჩენკო, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

პრეზი[illegible]ს წევრობის კანდიდატები: ამხანაგები გ. კ. ჟუკ[illegible] ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი.

პლენუმმა აირჩია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, დ. ტ. შეპილოვი.

პლენუმმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ნ. მ. შვერნიკი, პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — ამხ. პ. ტ. კომაროვი.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში

1956 წლის 27 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

## გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ და „პრავდის" გამომცემლობამ ბროშურებად გამოუშვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის მასალები: ნ. ს. ხრუშჩოვი. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის მე-20 ყრილობას", ნ. ა. ბულგანინი. „მოხსენება: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ".

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურებად გამოუშვა ამხანაგების კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, ა. ი. კირიჩენკოს, გ. მ. მალენკოვის, ა. ი. მიქოიანის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ნ. მ. შვერნიკის, ნ. ი. ბელიაევის, დ. ტ. შეპილოვის სიტყვები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე 20 ყრილობაზე.

ბროშურები პარტიის მე-20 ყრილობის მასალებით გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

## მ ი მ ა რ თ ვ ა

### სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რაიონული თათბირის მონაწილეებისა

ცხაკაიას რაიონის ყველა ახალგაზრდა კოლმეურნისა და მექანიზატორებისადმი, საბჭოთა მეურნეობის მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რაიონულ თათბირზე ჩვენ შევიკრიბეთ, რათა შევაჯამოთ ახალგაზრდობას შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გავიზიაროთ იმ ჭაბუკებისა და ქალიშვილების გამოცდილება, რომლებიც სამაგალითოდ შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე, პლანტაციებზე, მეცხოველეობის ფერმებში და იბრძვიან სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

1955 წელს რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, აბრეშუმის პარკის დამზადების, ყურძნის, მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლაში. ამ მიღწევების მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით კომკავშირლებსა და ახალგაზრდებს, რომელთაგან ბევრმა სახელი გაითქვა, როგორც სოფლის მეურნეობის ნოვატორმა.

ამასთან ერთად აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ წარმატებებთან ერთად ჩვენს მუშაობაში ბევრი ნაკლია, რომელთა მიჩქმალვის უფლება არა გვაქვს, მათი გაბედული კრიტიკა და დროზე გამოსწორება ჩვენი ღირსების საქმეა.

ძვირფასო მეგობრებო! რაიონულ თათბირზე ერთმანეთს გავუზიარეთ მუშაობის გამოცდილება და გულდასმით განვიხილეთ რა ჩვენი შესაძლებლობანი, გადავწყვიტეთ უფრო აქტიური მონაწილეობა მივიღოთ რაიონის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებაში. ჩვენ — თათბირის მონაწილენი — მოვუწოდებთ რაიონის მთელ ახალგაზრდობას მაქსიმალურად გამოვიყენოთ წარმოების ყველა რეზერვი, ჩვენი ძალა და უნარი და, მჭიდროდ დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ახალი ენერგიით ჩავებათ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ამ მიზნით:

მიმდინარე წელს შევქმნით სიმინდის უხვი მოსავლის მომყვან 12 კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს და 30 დამხმარე ჯგუფს. ვიბრძოლებთ, რათა ყველა ახალგაზრდულმა რგოლმა მიიღოს სიმინდის უხვი მოსავალი. ვიზრუნებთ მერგოლურების ხწავლებაზე, ყოველი საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაცია მოაწყობს მასზე დაყვანილი გეგმის ზევით სიმინდის 2 ჰექტარი ფართობის დამუშავებას.

მეჩაიეობის კოლმეურნეობის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას ჩავაბამთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ თვითეულმა კომკავშირელმა, თვითეულმა ახალგაზრდა კოლმეურნემ მიაღწიოს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გაზრდას 15-20 პროცენტით. ჩაის პლანტაციების მოვლისა და ფოთლის კრეფის აგროტექნიკური წესების ზუსტად გატარებით 10-15 პროცენტით გავადიდებთ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის ხვედრით წონას. მეტი ტიონ ყურადღებას მივაქცევთ ხელს ციტრუსების, დაფნის, ყურძნის მოსავლიანობის, მებაღეობისა და სხვა კულტურების წარმოების შემდგომ გაფართოებას.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ ყველა კომკავშირელმა და ახალგაზრდამ მასზე გაპიროვნებული პირუტყვისაგან მთლიანად შეინარჩუნოს ნამატი და უზრუნველყოს პროდუქტიულობის გეგმის შესრულება. იქ, სადაც მეცხოველეობის ფერმებში მუშაობს კომკავშირის ხუთ მეტი სამი წევრი, შევქმნით კომკავშირულ ჯგუფებს.

ყოველმხრივ გავაძლიერებთ ახალგაზრდა მექანიზატორების მონაწილეობას ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადების საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ახალგაზრდა სატრაქტორო ბრიგადების დატვირთვას გავადიდებთ საშუალოდ 15 ჰექტარით. სატრაქტორო სამუშაოების თვითეული ტრაქტორის დატვირთვას თვითეულ ჰექტარზე 7 პროცენტით შევამცირებთ.

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობის დირექტივები საბჭოთა ხალხის საბრძოლო პროგრამაა, რომელიც მოითხოვს მთელი ახალგაზრდობის შეუპოვარ შრომას. შევგნებული გვაქვს რა მთელი პასუხისმგებლობა ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების, მოვუწოდებთ ჩვენი რაიონის ყველა კომკავშირელსა და ახალგაზრდას — უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების შემდგომი ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის. მთელი ჩვენი ძალები, ჩვენი ცოდნა და ენერგია მოვახმაროთ ამ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

# პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები

1. ავხიმოვიჩი ნ. ე.
2. ალფეროვი პ. ნ.
3. ანდრეევი ა. ა.
4. არისტოვი ა. ბ.
5. ბაბაევი ს.
6. ბაიბაკოვი ნ. კ.
7. ბელიაევი ნ. ი.
8. ბენედიქტოვი ი. ა.
9. ბეშჩევი ბ. პ.
10. ბობროვნიკოვი ნ. ი.
11. ბოიცოვი ი, პ.
12. ბრეჟნევი ლ. ი.
13. ბრეჟნევი დ. დ.
14. ბულგანინი ნ. ა.
15. ვანიკოვი ბ. ლ.
16. ვასილევსკი ა. მ.
17. ვოლკოვი ა. პ.
18. ვოროშილოვი კ. ე.
19. ვორონოვი გ. ი.
20. გაევოი ა. ი.
21. გაფუროვი ბ.
22. გორიაჩევი ფ. ს.
23. გრიშინი ვ. ვ.
24. გრიშინი ი. ტ.
25. გრომიკო ა. ა.
26. დანიალოვი ა. დ.
27. დემენტიევი პ. ვ.
28. დენისოვი გ. ა.
29. დერიუგინი ბ. ი.
30. ჯავახიშვილი გ. დ.
31. დორონინი პ. ი.
32. დუდოროვი ნ. პ.
33. ენიუტინი გ. ვ.
34. ეფრემოვი მ. ტ.
35. ეფრემოვი ლ. ნ.
36. ჟეგალინი ი. კ.
37. ჟუკოვი გ. კ.
38. ზავენიაგინი ა. პ.
39. ზადემიდკო ა. ნ.
40. ზვერევი ა. გ.
41. იგნატოვი ნ. გ.
42. იგნატოვი ნ. ფ.
43. იგნატიევი ს. დ.
44. კაბანოვი ი. გ.
45. კაგანოვიჩი ლ. მ.
46. კალნბერზინი ი. ე.
47. კალჩენკო ნ. ტ.
48. კაპიტონოვი ი. ვ.
49. კირილენკო ა. პ.
50. კირიჩენკო ა. ი.
51. კისელიოვი ნ. ვ.
52. კლიმენკო ვ. კ.
53. კობელევი ბ. ნ.
54. კოვრიგინა მ. დ.
55. კოზლოვი ფ. რ.
56. კოლუშჩინსკი ე. პ.
57. კონევი ი. ს.
58. კორნეიჩუკი ა. ე.
59. კოროტჩენკო დ. ს.
60. კოსიგინი ა. ნ.
61. კუზნეცოვი ვ. ვ.
62. კუნაევი დ. ა.
63. კუუსინენი ო. ვ.
64. კუჩერენკო ვ. ა.
65. კებინი ი. გ.
66 ლარიონოვი ა. ნ.
67. ლაპტევი ნ. ვ.
68. ლატუნოვი ი. ს.
69. ლებედევი ი. კ.
70. ლუბენიკოვი ლ. ი.
71. მაზუროვი კ. ტ.
72. მალენკოვი გ. მ.
73. მალინოვსკი რ. ი.
74. მალიშევი ვ. ა.
75. მარკოვი ვ. ს.
76. მარჩენკო ი. ტ.
77. მაცკევიჩი ვ. ვ.
78 მჟავანაძე ვ. პ.
79 მიქოიანი ა. ი.
80. მიტინი მ. ბ.
81. მიხაილოვი ნ. ა.
82. მოლოტოვი ვ. მ.
83. მოსკვინი ვ. ა.
84. მოსკალენკო კ ს.
85. მურატოვი ზ. ი.
86. მუსტაფაევი ი. დ.
87. მუხიტდინოვი ნ. ა.
88. ნასრიდინოვა ი. ს.
89. ორგანოვი ნ. ნ.
90. პანკრატოვა ა. მ.
91. პატოლიჩევი ნ. ს.
92. პეგოვი ნ. მ.
93. პერვუხინი მ. გ.
94. პეტუხოვი კ. დ.
95. პოდგორნი ნ. ვ.
96. პოლიანსკი დ. ს.
97. პონომარიოვი ბ. ნ.
98. პონომარენკო პ. კ.
99. პოსპელოვი პ. ნ.
100. პროკოფიევი ვ. ა.
101. პუზანოვი ა. მ.
102. პისინი კ. გ.
103. რაგიმოვი ს. გ.
104. რაზაკოვი ი. რ.
105. რუმიანცევი ა. მ.
106. საბუროვი მ. ზ.
107. სერდიუკი ზ. ტ.
108. სეროვი ი. ა.
109. სნეჩკუსი ა ი.
110. სოკოლოვსკი ვ დ.
111. სტახურსკი მ. მ.
112. სტრუევი ა. ი.
113. სუსლოვი ვ. მ.
114. სუსლოვი მ. ა.
115. თევოსიანი ი. თ.
116. ტიტოვი ვ. ნ.
117. ტიტოვი ფ. ე.
118. ტიხომიროვი ს მ.
119. თოვმასიანი ს. ა.
120. უსტინოვი დ. ფ
121. ფურცევა ე. ა.
122. ხვოროსტუხინი ა. ი.
123 ხრუნიჩევი მ. ვ.
124. ხრუშჩოვი ნ. ს.
125. ჩერნიშევი ვ. ე.
126. შვერნიკი ნ. მ.
127. შელეპინი ა. ნ.
128. შეპილოვი დ. ტ.
129. შკოლნიკოვი ა. მ.
130. შტიკოვი ტ. ფ.
131. იუდინი პ. თ.
132. იაკოვლევი ი. დ.
133. იასნოვი მ. ა.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

1. ანდრეევა ნ. ნ.
2. ბაგრამიანი ი. ქ.
3. ბირიუზოვი ს. ს.
4. ბორისოვი ს. ზ.
5. ბუზნოვსკი ნ. დ.
6. ბუდიონი ს. მ.
7. ბუტუზოვი ს. მ.
8. ვორონოვი ფ. დ.
9. განენკო ი. პ.
10. გლებოვსკი გ. ნ.
11. გორბატოვი ა. ვ.
12. გორშკოვი ს. გ.
13. გრეჩკო ა. ა.
14. გრეჩუხა მ. ს.
15. გრიშინი კ. ნ.
16. გრიშკო გ. ე.
17 გრომოვი ე. ი.
18. გურეევი ნ. მ.
19. დიგაი ნ. ა.
20. ევსეენკო მ. ა.
21. ელიუტინი ვ. პ.
22. ეპიშევი ა. ა.
23. ერემენკო ა. ი.
24. ჟავორონკოვი ვ. გ.
25. ჟიგარიოვი პ. ფ.
26. ჟიმერინი დ. გ.
27. ჟუკოვი კ. პ.
28. ჟურინი ნ. ი.
29. ზაკურდაევი ვ. ი.
30. ზამჩევსკი ი. კ.
31. ზარუბინი გ. ნ.
32. ზოლოტუხინი გ. ს.
33. ზორინი ვ. ა.
34. ზოტოვი ვ. პ.
35. ივაშჩენკო ო. ი.
36. ისლიუკოვი ს. მ.
37. იშკოვი ა. ა.
38. კაზანეცი ი. პ.
39. კალმიკოვი ვ. დ.
40. კანუნიკოვი მ. ი.
41. კარასევი ვ. ი.
42. კლიმოვი ა. პ.
43. კოვალი კ. ი.
44. კოზლოვი ა. ი.
45. კოზლოვი ვ. ი.
46. კომაროვი პ. ტ.
47. კომიახოვი ვ. გ.
48. კონსტანტინოვი ფ. ვ
49. კორნიეცი ლ. რ.
50. კოსოვი ვ. ვ.
51. კოსტოუსოვი ა. ი.
52. კრახმალევი მ. კ.
53. კუმიკინი პ. ნ.
54. ლაცისი ვ. ტ.
55. ლიხაჩოვი ი. ა.
56. ლობანოვი პ. პ.
57. ლოგინოვი ს. პ.
58. ლომაკო პ. ფ.
59. ლუნევი კ. ფ.
60. ლუჩინსკი ა. ა.
61. ლიკოვა ლ. პ.
62. მაქსარევი ი. ე.
63. მალიკი ი. ა.
64. მელნიკოვი ლ. გ.
65. მელნიკოვი რ. ე.
66. მენშიკოვი მ. ა.
67. მილარშჩიკოვი ვ. პ.
68. მიურისეპი ა. ა.
69. ნაიდეკი ლ. ი.
70. ნედელინი მ. ი.
71. ნეფედოვა ო. ი.
72. ნიკიტინი პ. ვ.
73. ნოსენკო ი. ი.
74. ორლოვი გ. მ.
75. ორლოვსკი კ. პ.
76. ოსტროვიტიანოვი კ. ვ.
77. პავლოვი დ. ვ.
78. პალეცკისი ი. ი.
79. პეტუხოვი ა. უ.
80. პილიპეცი ს. მ.
81. პოპოვა ნ. ვ.
82. პოსტოვალოვი ს. ო.
83. პჩელიაკოვი ა. პ.
84. რაიზერი დ. ი.
85. რაშიდოვი შ.
86. რუდაკოვი ა. პ.
87. რუდენკო რ. ა.
88 რუდი გ. ი.
89. რიაბიკოვი ვ. მ.
90. სემიჩასტნი ვ. ე.
91. სენინი ი. ს.
92. სიზოვი გ. ფ.
93. სინიაგოვსკი პ. ე.
94. სკიდანენკო ი. ტ.
95. სკულკოვი ი. პ.
96. სმირნოვი ნ. ი.
97. სოკოლოვი ტ. ი.
98. სოლოვიოვი ლ. ნ.
99. სტეპანოვი ს. ა.
100. სტროკინი ნ. ი.
101. სურგანოვი ფ. ა.
102. სურკოვი ა. ა.
103. ტარასოვი მ. პ.
104. ტაშენევი ჟ. ა.
105. ტიმოშენკო ს. კ.
106. ტოკა ს. კ.
107. ტროფიმოვი ა. ს.
108. ტუმანოვა ზ. პ.
109. ტური ი. პ.
110. ფადეევი ა. ა.
111. ფირიუბინი ნ. პ.
112. ფლორენტიევი ლ. ი.
113. ხახალოვი ა. უ.
114 ჩეპლაკოვი პ. ფ.
115. ჩუბინიძე მ. დ.
116. ჩუიკოვი ვ. ი.
117. ჩურაევი ვ. მ.
118. შაშკოვი ზ. ა.
119. შერემეტიევი ა. გ.
120. შუმაუსკასი მ. ი.
121. იუდინი პ. ა.
122. იურკინი ტ. ა.

## პარტიის XX ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

1. აბაბკოვი ტ. ი.
2. აბალინი ს. მ.
3. აგკაცევი ვ. მ.
4. არუშანიანი შ. მ.
5. ბაბიჩი ვ. ი.
6. ბოიკოვა ა. პ.
7. ვინოგრადოვი ს. ა.
8. ვორობიოვი გ. ი.
9. გორკინი ა. თ.
10. გრომოვი გ. პ.
11. გუბინი კ. ა.
12. დოროშენკო პ. ე.
13. დუბკოვეცკი ფ. ი.
14. ჟუკოვი გ. ა.
15. ზიმიანინი მ. ვ.
16. იბრაგიმოვი მ. ა.
17. იგნატოვი ს. ა.
18. ილიჩოვი ლ. თ.
19. კაზმინი ნ. დ.
20. კაიროვი ი. ა.
21. კ მალოვი ს.
22. კიდინი ა. ნ.
23. კირილინი ვ. ა.
24. კოსიაჩენკო გ. პ.
25. კოჩეტოვი ვ. ა.
26. კუზნეცოვი ფ. ფ.
27. კუზმინი ი. ი.
28. კუზმინი ნ. მ.
29. კულატოვი ტ.
30. ლაზურენკო მ. კ.
31. ლუკიანოვი ვ. ვ.
32. მალინი ვ. ნ.
33. მალინინი მ. ს.
34. მერეცკოვი კ. ა.
35. მირონოვა ზ. ვ.
36. მოსკატოვი პ. გ.
37. მოსკოვსკი ვ. პ.
38. მურავიოვა ნ. ა.
39. ოვეზოვი ბ.
40. ოზოლინი კ. მ.
41. ორლოვი მ. ა.
42. ოსიპოვი გ. ი.
43. ოსოსკოვი ვ. ი.
44. პალგუნოვი ნ. გ.
45. პანიუშკინი ა. ს.
46. პოდზერკო ვ. ა.
47. პოლიკარპოვი დ. ა.
48. პროკონენი პ. ს.
49. პროკოფიევი ა. ა.
50. პრომისლოვი ვ. ფ.
51. პუშკინი გ. მ.
52. როჟანჩუკი ნ. მ.
53. სატიუკოვი პ. ა.
54. სემიონოვი ვ. ს.
55. სიმონოვი კ. მ.
56. სპირიდონოვი ა. მ.
57. სუეტინი მ. ს.
58. ულჯაბაევი ტ.
59. ჩერედნიჩენკო ე. ტ.
60. შიკინი ი. ვ.
61. შჩერბიცკი ვ. ვ.
62. იუსუპოვი ი.
63. იაკოვლევი ა. ი.

# ვიბრძოლოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობისათვის!

## სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რაიონული თათბირი

კულტურის სახლში 26 თებერვალს ცხაკაიის რაიონის სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანმა მოწინავე ახალგაზრდობამ მოიყარა თავი. კომკავშირელი და ახალგაზრდა კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, აქტივისტები შეიკრიბნენ, რათა ერთმანეთს გაუზიარონ საკოლმეურნეო წარმოებაში წარმატებების მიღწევის ხერხები, მარცვლეულის, ჩაის სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ზრდის, პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საკუთარი გამოცდილებანი.

თათბირი გახსნა საქართველოს ალკკ ცხაკაიის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ეჯიბიამ.

მოხსენება—რაიონის კომკავშირულებისა და ახალგაზრდების ამოცანები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების შემდგომი გადიდების საქმეში—გააკეთა ცხაკაიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. შარტავამ.

მომხსენებელმა თათბირის მონაწილეებს დაწვრილებით მოუთხრო სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის რაიონში გასულ სამეურნეო წელს მოპოვებულ წარმატებებზე. მან თქვა:—მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა 1955 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა სიმინდის მოსავალი. შარშან კოლმეურნეობებში მოიკრიფა გაცილებით მეტი ჩაი, ვიდრე შარშანწინ. შარშანწინდელთან შედარებით გადიდდა აგრეთვე სხვა კულტურების მოსავალი, გადაჭარბებით შესრულდა ყურძნის, ტუნგოს, აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმები. მკვეთრი გარდატეხაა მიღწეული პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. შარშამ თვითეულ საფურაჟე ძროხიდან საშუალოდ მიღებულ იქნა 542 კილოგრამი რძე, ეს მაშინ, როდესაც 1954 წელს მიიღეს 226,7 კილოგრამი. გადიდდა ხორცისა და რძის წარმოება ყოველ 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე. ყოველივე ამის შედეგად საგრძნობლად ამაღლდა კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი. 1954 წელს რაიონში 10 მილიონერი კოლმეურნეობა იყო, მათი რიცხვი 12-მდე გაიზარდა.

ამ მიღწევათა მოპოვებაში,—განაგრძო მომხსენებელმა,—დიდი წვლილი მიუძღვით კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს. რიგი საკოლმეურნეო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციებისა წარმატებით რაზმავენ ახალგაზრდებს, გამოდიან სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. მომხსენებელი ასახელებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ რგოლებს, კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს საკოლმეურნეო შრომაში სასახელო წარმატებების მიღწევით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში, მეცხოველეობის განვითარებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი სერიოზულ ნაკლოვანებებს დაბალია სიმინდის მოსავლიანობა, არ შესრულებულა წველადობის გეგმა. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა მივაღწიოთ სიმინდის მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას, მეცხოველეობის უსწრაფეს განვითარებას, ყველა სასოფლო სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებას.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობა, მარცვლეული, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურების, ხეხილის, ტუნგოს, ციტრუსების, დაფნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდება, მეაბრეშუმეობის განვითარება, პირუტყვის სულადობისა და პროდუქტიულობის მკვეთრი ზრდა. საშუალოდ ჰექტარიდან უნდა მივიღოთ 26 ცენტნერი მარცვალი, თვითეული საფურაჟე ძროხიდან—1.700 კილოგრამი რძე. ამ ამოცანების განხორციელების საქმეში დიდი როლის შესრულება ეკისრება ახალგაზრდებს, მის მოწინავე რაზმს ლენინურ კომკავშირს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე საქართველოს ალკკ ცხაკაიის რაიკომის მეორე მდივნის ამხ. აკ. განგიას მოხსენება. იგი შეეხო კომკავშირულ ორგანიზაციებს, კომკავშირელებს, რომლებმაც გასულ წელს თავი გამოიჩინეს კარგი მუშაობით. სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირულმა ორგანიზაციამ,—თქვა მან,—შეძლო კოლმეურნე ახალგაზრდების დარაზმვა დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ეს ორგანიზაცია 86 კომკავშირელს აერთიანებს. მათი უმრავლესობა აქტიურად შრომობს საკოლმეურნეო დოვლათის შესაქმნელად. გასულ სამეურნეო წელს ამ კოლმეურნეობის კომკავშირელებს მიუზომეს 85 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, საიდანაც ჩაის უხვი მოსავალი მიიღეს. ამას გარდა, კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა გაპიროვნებული სიმინდის ყანებიდან მაღალი მოსავალი მოიყვანეს. დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეცხოველე ახალგაზრდებმაც. კომკავშირის რაიკომის ბიურომ, რომელმაც შეაჯამა რაიონის ახალგაზრდებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გამარჯვებულად ცნო ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია და მას მიაკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა. შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებების მიღწევისათვის დაჯილდოებულია 30 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია, 100 კომკავშირელი.

მომხსენებელი ასახელებს კომკავშირულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ რგოლებს, კომკავშირელებს, რომლებიც საკოლმეურნეო შრომაში მაღალი წარმატებების მიღწევისათვის დაჯილდოებულ იქნენ.

სიტყვით პირველი გამოვიდა სოფელ ხორშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ზ. ხარბედია. მან თქვა:—სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდების შეკრებაზე მოვედი იმ სურვილით, რომ გავიზიარო მოწინავეთა გამოცდილება, გადავცე იგი ჩვენი კოლმეურნეობის ახალგაზრდებს, რათა მივაღწიოთ მეტ წარმატებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის გაჩაღებულ მუშაობაში. ჩვენს ორგანიზაციაში 29 კომკავშირელი ირიცხება. ეს საკმაოდ მოზრდილი ძალაა. კომკავშირელთა დიდი ნაწილი თავდადებით შრომობს. მეჩაიე ახალგაზრდებს მოსაწონი მიღწევები გააჩნიათ. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს გულიკო ბულიავას. მან შარშან ნაცვლად გეგმით მიცემული 2.300 კილოგრამისა 4.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ნინა კაზარიანი ჩვილბავშვიანია. მიუხედავად ამისა, იგი წარმატებით მუშაობს პლანტაციაში, გასულ წელს გეგმის გადამეტებით ასობით კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. წარმატება მეტი გვიქნებოდა ყველა კომკავშირელი გულმოდგინედ რომ მუშაობდეს. კომკავშირული ორგანიზაცია უკეთ დარაზმავს ახალგაზრდებს დავალებათა შესასრულებლად.

ტრიბუნაზე ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, ცნობილი ჩაის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი ვერა ლვინჯილია. მან გასულ წელს გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათასი კილოგრამი ჩაი მოკრიფა. წელს იგი მონაწილეობდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდების თათბირის მუშაობაში. მან ილაპარაკა მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე, თუ როგორ ამუშავებს ჩაის პლანტაციას, როგორ აღწევს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანას.

—თითქოს უკვე იგრძნობა გაზაფხულის სუნთქვა.—თქვა მან.—მალე ჩაის ბუჩქები უხვად მოისხამენ ნაზ დუყებს. პირობას ვიძლევი გაპიროვნებულ 0,5 ჰექტარ პლანტაციიდან 7.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოვკრიფო.

თათბირის მონაწილეები ტაშით აჯილდოვებენ გმირს.

დარბაზში შემოდის პიონერთა დელეგაცია. ბავშვები მხიარული შეძახილებით, პიონერული სიმღერებით მიესალმნენ თათბირის მონაწილეებს.

კოტიანეთის 8-წლიანი სკოლის ნორჩ მიჩურინელთა წრის წევრმა ზ. მაისაიამ ისაუბრა სკოლის ნორჩ მიჩურინელთა ნაყოფიერ მუშაობაზე, იმის შესახებ, თუ როგორ დაიმსახურეს მან და მისმა ამხანაგებმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის საპატიო სახელი.

შემდეგ სიტყვით გამოდის ამხ. ნ. ლიაკინი.

სოფელ ზანის საშუალო სკოლის მოსწავლემ ეთერო კვირაიამ სახელი გაითქვა, როგორც შრომისმოყვარე გოგონამ. იგი სწავლას წარმატებით უთავსებს შრომას, ნაყოფიერ დახმარებას უწევს კოლმეურნეობას ჩაის მოსავლის დიდი სიუხვით მოყვანაში. თათბირის მონაწილეებს იგი მოუთხრობს მუშაობის საკუთარ გამოცდილებაზე, რაც ყველამ ყურადღებით მოისმინა.

ტრიბუნაზეა ცხაკაიის მტს-ის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ი. კაკულია. მან თქვა ახალგაზრდა მექანიზატორების წინაშე წელს დასახული ამოცანების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის პირველ შედეგებზე. მტს-ის ახალგაზრდული სატრაქტორო ბრიგადა აერთიანებს მოწინავე ტრაქტორისტებს. მათ შორის სასახელო წარმატებებს მიაღწიეს შ. ჩიქოვანმა, თ. დავითაიამ, ბ. გიგიბერიამ და სხვ. კომკავშირის რაიკომის მუშაკები,—განაგრძობს იგი,—ჯერ კიდევ არ გვიწევენ საკმაო დახმარებას, ადგილზე არ ეცნობიან ახალგაზრდა მექანიზატორების შრომით საქმიანობას, ნაკლებად გვიტარებენ ლექციებს და მოხსენებებს. კარგი იქნება, თუ ეს გამოსწორდება. ახლა ვემზადებით საგაზაფხულო თესვისათვის. მზად არის ტრაქტორები, გუთნები, თესვისათვის საჭირო იარაღ-მანქანები. მტს-ის კომკავშირელები თავდადებით იშრომებენ უხვი საკოლმეურნეო მოსავლის მისაღებად, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ჩვენი რაიონის ყველა ახალგაზრდა კოლმეურნის, მექანიზატორის, საბჭოთა მეურნეობის მუშაკის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი.

დასასრულ კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ეჯიბიამ ჯილდოები გადასცა იმ კომკავშირულ ორგანიზაციებს, ახალგაზრდული რგოლების ხელმძღვანელებს, ცალკეულ ახალგაზრდებს, რომლებმაც გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცხაკაიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. ურუშაძემ, ცხაკაიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ბალათურიამ და საქართველოს კპ ცხაკაიის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ძაძამიამ.

თათბირის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქ. ცხაკაიის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ სასწავლებლის, პიონერთა რაიონული სახლისა და ნოსირის საშუალო სკოლის თვითმოქმედმა კოლექტივებმა.